ოსტფორდის საუნივერსიტეტო კოლეჯის (ნორვეგია) სტიპენდიები 2013/2014 აკადემიური წლისთვის

საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ოსტფორდის საუნივერსიტეტო კოლეჯთან თანამშრომლობის ფარგლებში აცხადებს კონკურსს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების მეხუთე სემესტრის სტუდენტებისთვის ოსტფორდის საუნივერსიტეტო კოლეჯში ერთწლიანი სასწავლო სტიპენდიის მოსაპოვებლად. მიმღები უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულია საბაკალავრო პროგრამა: **საერთაშორისო ბიზნესი.**

კონკურსზე დაიშვებიან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტები, რომელთაც გავლილი აქვთ დანართში მოცემულ საგანთა უმეტესობა. [დანართი]

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა სააპლიკაციო პაკეტი უნდა გადააგზავნონ მიმღებ უნივერსიტეტში მისამართზე:

Ms. Ellen Hoy-Petersen
International Coordinator
International Office
Ostfold University College, Norway
Phone: +47 69 21 50 13
Fax: +47 69 21 50 02
Email: ellen.hoy-petersen@hiof.no

- ელექტრონულად შევსებული სააპლიკაციო ფორმები (ფორმა 1, ფორმა 2)
- CV (ინგლისურ ენაზე)
- მოტივაციის წერილი (ინგლისურ ენაზე)
- რეკომენდაცია (ინგლისურ ენაზე, ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
- აკადემიური მოსწრების ფურცელი ფაკულტეტის დეკანატიდან (ინგლისურ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული)
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (ინგლისურ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული)
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მინიმალური ზღვარი: TOEFL 525; IELTS 6.0)
- პასპორტის ასლი
- 2 ფოტო (3/4)

ოსტფორდის საუნივერსიტეტო კოლეჯი შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს უზრუნველყოფს ყოველთვიური სტიპენდიით დაბინავებისა და საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად. (იხილეთ: http://www.hiof.no/eng/english/before-arrival/accommodation?lang=eng

სააპლიკაციო დოკუმენტაცია მიმღებ უნივერსიტეტში უნდა გაიგზავნოს არაუგვიანეს 2013 წლის 25 იანვრისა.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ–გვერდი:
http://www.hiof.no/eng/english/home?lang=eng; www.studyinnorway.no;
http://www.hiof.no/eng/english/courses-taught-in-english/programmes-in-foreign-languages-_-2010/international-business-programme

ან/ და მიმართეთ ლელა კაცაძეს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ მეორე კორპუსი, მეორე სართული, ოთახი 204).

შენიშვნა: დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ განიხილება! კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა აუცილებელია მიმღებ უნივერსიტეტში საბუთების გაგზავნამდე რეგისტრაცია უნდა გაიარონ თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში! სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიმღებ უნივერსიტეტში გაგზავნის მსურველებმა გაითვალისწინეთ საფოსტო მომსახურების ვადები.